

აფიშო და წარსულის გაპკვეთილები

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №7, 2025 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციების**

და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი. გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული

ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე **პროექტის გუნდი.**



მწერიც კი წხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველათ!...
და ჩვენ რად ვმღერით წაღ-წაღკე:
„ოდელა-დელა-დელაო“?!

ერთობა ჩვენთვის ცახცია,
მტრებისთვის – სახრჩოხელაო!..
მტრებს „ვაი-ფედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვოქვათ: დელა-დელაო!
აკაკი წერეთელი

შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა
მამა, რომ იქიდან დაიწყოს წხოვრების უღელის
ნევა, შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს რაში
იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო
შემწდარი და რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა
კეთილი – ავად.

რა უმართავდა ხელს, რა აზრკოლებდა, რისთ-
ვის იხარტებოდა და მხნეობდა, და რისთვის და
რაში უქმობდა. უმაგისოდ, თვითონ შვილი რაჯ
უნდა მხნე და გამრტელი იყოს, უხორთუმი
სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ
იყოს, და ამ ნუთისოფელში კერას გახდება!

ილია ჭავჭავაძე



რატომ ვერ უმშინარუნეთ დამოუკიდებლობა 1921 წელს?

1921 წელი – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა - საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდია. დღეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გაიზროს ეს ფაქტები როგორც გაკვეთილები, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური, სამხედრო და შიდა ერთიანობის თვალსაზრისით.

დამოუკიდებლობის დაკარგვა არ იყო მხოლოდ რუსეთის სამხედრო, რაოდენობრივი უპირატესობის შედეგი, ეს იყო რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა, სადაც ქართველთა შიდა დაპირისპირებამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

შევეცადეთ მოგვეძიებინა ზოგი ფაქტი:

- **საქართველოს მთავრობის დიპლომატიური შეცდომები** – 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ამავე ხელშეკრულებამ დაავალა ქართულ მხარეს, გაეთავისუფლებინა ბოლშევიკი აგენტები, რომლებმაც დივერსიული საქმიანობა გაააქტიურა. ეს იყო დიპლომატიური შეცდომა, რადგან რუსეთმა არ შეასრულა ხელშეკრულების პირობები, სწორედ ამ აგენტების დახმარებით გამოიწვია ქვეყანაში არეულობა და ბორჩალოს ინციდენტი და თავს დაესხა საქართველოს.

- **რუსეთის სტრატეგიული გეგმა** – რუსეთისთვის საქართველოს ოკუპაცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის უზრუნველყოფდა კავკასიაში კონტროლს და

თურქეთთან სახმელეთო კავშირს.

- **საერთაშორისო მხარდაჭერის ნაკლებობა** – საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (1918-1921) ჰქონდა საერთაშორისო აღიარება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის მიერ, მაგრამ არ ჰქონდა ძლიერი სამხედრო მხარდაჭერა მოკავშირეებისგან.

- **სტრატეგიული მდგომარეობა** – საქართველო მომწყვდეული იყო ქემალისტურ თურქეთსა (რომელმაც 1920 წელს სომხეთის ნაწილი დაიპყრო) და საბჭოთა რუსეთს შორის, რამაც შეზღუდა მოკავშირეებთან კავშირი. – საქართველო, როგორც „დასავლეთის ბასტიონი“ კავკასიაში, მარტო დარჩა თურქეთსა და რუსეთს შორის. 1920 წლის თურქეთ-რუსეთის აღიანსმა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის გადანაწილებას, საქართველოს პოზიცია განსაკუთრებით დაუცველი გახადა.

- **სამხედრო მზადყოფნის ნაკლებობა** – 1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა შეზღუდული სამხედრო რესურსები (ჯარის რაოდენობა, იარაღი), რაც ვერ შეედრებოდა რუსეთის მე-11 წითელი არმიის ძალას.

- **შიდა პოლიტიკური განხეთქილება** – ქართველთა შიდა დაპირისპირება, განსაკუთრებით ბოლშევიკური ჯგუფების მიერ განხორციელებული დივერსიული საქმიანობა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

- **ბოლშევიკების მეკავშირეობა რუსეთთან** – მიუხედავად იმისა, რომ მთავრობასა და ოპოზიციას ჰქონდა

საქართველოში რუსული ოკუპაციის პირითადი ქართველი მხარდამხმარები და მათი როლები:

- **სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი)**, საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისარი, გავლენიანი ბოლშევიკი – აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მენშევიკური მთავრობის სამხედრო დამხობას, ლენინსაც ურჩევდა საქართველოში შეჭრას და იყენებდა თავის ბიუროკრატიულ ძალაუფლებას აგრესიის ორგანიზებისთვის. 1921 წლის 28 იანვარს აცნობა სერგო ორჯონიკიძეს, რომ სამხედრო ჩარევა შესაძლო და საჭირო იყო.

სტალინის ფონდში ინახება სტალინის დეპეშა, რომლითაც სტალინი იძლევა საბედისწერო ბრძანებას სერგო ორჯონიკიძისა და წითელი არმიის თბილისზე თავდასხმის თაობაზე. დეპეშა რუსულ ენაზეა დაწერილი, თუმცა მთავარი სიტყვები – **Ахлаве шеутие! – ახლავე შეუტიე – წერია ქართულად, რუსული ასოებით. ეს სერგო ორჯონიკიძისთვის იყო განკუთვნილი.**

- **სერგო ორჯონიკიძე** – კავშიუროს (კავკასიის ოფისი) თავმჯდომარე რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ქართველი ბოლშევიკების ლიდერი, ხელმძღვანელობდა საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკურ ძალებს კავკასიაში – 1920 წლიდან იწვევდა პოლიტიკურ არეულობას საქართველოში, იყენებდა აგრარულ და ეთნიკურ დაძაბულობას.

- **ფილიპე მახარაძე** – ბოლშევიკი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რევკომი) თავმჯდომარე, რომელიც შულავერში შეიქმნა –

რევკომის სახელით მიმართა მოსკოვს დახმარების თხოვნით, რამაც “იურიდიული საფუძველი” შექმნა სამხედრო შეჭრისთვის. რევკომი მოქმედებდა როგორც ალტერნატიული მთავრობა მენშევიკების წინააღმდეგ.

- **მამია ორახელაშვილი** – რევკომის წევრი, ბოლშევიკი – 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში გამოაცხადა მენშევიკური მთავრობის დამხობა, საქართველოს ეროვნული არმიისა და სახალხო გვარდიის დაშლა, და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა.

- **შალვა ელიავა** – რევკომის წევრი, ბოლშევიკი – ორახელაშვილთან ერთად გამოაცხადა მენშევიკური მთავრობის დამხობა და საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში. მონაწილეობდა საბჭოთა ძალაუფლების დამყარებაში.

პ.ს.

სტალინი გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, საეჭვო ვითარებაში, სავარაუდოდ, თანაპარტიელებმა მოწამლეს;

სერგო ორჯონიკიძემ თავი მოიკლა 50 წლის ასაკში;

ფილიპე მახარაძე გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, 1987 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს მისი საფლავი ააფეთქეს.

მამია ორახელაშვილი კოლეგა კომუნისტებმა დახვრიტეს 56 წლის ასაკში; შალვა ელიავა – 53 წლის ასაკში.

კონსენსუსი რუსეთიდან საფრთხის შესახებ, ქვეყანაში შიდა უთანხმოებებმა (მაგ: სოციალ-დემოკრატებსა და სხვა ჯგუფებს შორის) შეარყია ერთიანობა. ქართველი ბოლშევიკები, მხარს უჭერდნენ რუსეთს, აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსკოვთან, ხელს უწყობდნენ შიდა არეულობას, პროპაგანდას და „მოუწოდებდნენ“ წითელ არმიას „დახმარებისათვის“.

მოსკოვში სერგო ორჯონიკიძის გაგზავნილი დეპეშები (მაგ., „თუ საქართველოს არ დავუფლეთ, შეუძლებელი იქნება აზერბაიჯანის კონტროლი“) აჩვენებს, რომ რუსეთს განზრახული ჰქონდა საქართველოს გასაბჭოება.


ბოლშევიკებმა, საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით, იატაკქვეშა მუშაობით (მაგ., გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემა, აჯანყებების ორგანიზება ბორჩალოში) შეარყიეს სახელმწიფოს სტაბილურობა.

• **შულავერის (ბორჩალოს) აჯანყება** – 1921 წლის 11-12 თებერვალს მოენყო ბოლშევიკური შეტევა საქართველოს სამხედრო პოსტებზე ლორში, სოფელ შულავერში (დღევანდელი სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია).

• **ეთნიკური დაძაბულობა** – ბორჩალოს სომხური მოსახლეობის ნაწილმა მხარი დაუჭირა საბჭოთა ძალებს, რამაც გააძლიერა შიდა განხეთქილება.

• **რუსეთის სამხედრო აგრესია:** 1921 წელს საბჭოთა რუსეთის წითელი არმია შეიჭრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოახდინა ქვეყნის ანექსია - „ნებაყოფილობითი შესვლა“ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

სერგო ორჯონიკიძის 1921 წლის 25



თებერვლის დეპეშა ვლადიმერ ლენინსა და იოსებ სტალინთან, რომელიც საბჭოთა საქართველოში საამაყო დოკუმენტად მიიჩნეოდა, დღეს არის დოკუმენტური დადასტურება იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქში შემოვიდა „სიკვდილი ცელით“.

ეროვნულ არქივში ამ დეპეშის ფოტორეპროდუქცია ინახება. დოკუმენტის შინაარსი ასეთია:

„ლენინს, სტალინს, ბაქო. 25.II.21 წ. თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ორჯონიკიძე“

სტალინის სტუმრობა საქართველოში და განრისხებული მასპინძლები

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივი, რადიო თავისუფლება

ლევან ჯიქია, ისტორიკოსი: 1921 წლის 5 ივლისს ქ. თბილისში, ნაძალადევის თეატრში იოსებ ჯუღაშვილმა (სტალინმა) საჯარო მოხსენება წაიკითხა, რომელსაც ქართული მუშათა კლასის ხუთი ათასი წარმომადგენელი დაესწრო. იოსებ სტალინის მოხსენების სათაური იყო „**საქართველოს სოვეტიზაცია**“.

სტალინმა მუშებს განათავისუფლება მიულოცა, რაზედაც მთელი აუდიტორია ფეხზე წამოდგა და მომხსენებლის მისამართით გაისმა რეპლიკები: „ტყუილია, თქვენ დაგვიპყრეთ, ხიშტებით შემოხვედით, თქვენ გაგვანადგურეთ! ძირს!“ სტალინი იძულებული გახდა გაჩუმებულიყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან გააგრძელა საუბარი და აღნიშნა: „საქართველოს არ შეუძლიან ცხოვრება, თუ რუსეთმა მას პური არ მისცა, ბაქომ ნავთი“. ისევ გაისმა რეპლიკები: „სირცხვილია, ტყუილია, თქვენ გაზიდეთ ყველაფერი ჩვენი ოფლით მონაგარი; ჩვენ დავუმტკიცებთ მთელ ქვეყანას, რომ შეგვიძლია დამოუკიდებლად ცხოვრება“. სტალინი იძულებული გახდა ისევ შეენწყვიტა საუბარი. დარბაზის დაწყნარების შემდეგ მან გააგრძელა: „საქართველოში მომხდარი რევოლუცია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ... მას ამჯერადაც შეანყევტინეს საუ-

ციალ-დემოკრატები ალექსანდრე დგებუაძე და ისიდორე რამიშვილი. დარბაზი მათ ოვაციებით შეხვდა. ისიდორე რამიშვილი, რომელიც ასაკოვანი იყო, ხელში აყვანილი მიიყვანეს ტრიბუნასთან. ორივე მომხსენებელს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშით და ოვაციებით. ისიდორე რამიშვილი ნახევარი საათის განმავლობაში საუბრობდა, თუმცა ტრიბუნასთან საათნახევარი იდგა ოვაციების გამო.


ძველი სოციალ-დემოკრატი, პორფილე მეხუზლა: „...მან თავისი მოხსენება რუსულად დაიწყო და 6 სიტყვაც არ ჰქონდა ნათქვამი, როდესაც ამოდენა აუდიტორიის ხალხი, ერთად, ყველანი წამოიმართა და პროტესტის გამოცხადებით ყვირილით შეხვდნენ... სტალინი მოულოდნელობით განრისხებული სახტად დარჩა... განრისხებული ყვირილით რუსულად ამბობს სტალინი: ჩტო ეტა ტაკოი, ჩტო ზა ბეზაბრაზიე, ზაჩემ ნე დაიუტ მნე ვაზმოყნოსტ დაკლად სდიელატ... მას ისიდორე რამიშვილი უპასუხებს ქართულ ენაზე: ამხანაგო კობა! ეს ხალხი მართალია და ნუ ლელავ... თქვენ თვითონ ამბობთ – დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა წყობილებით შეიცვალა, მაგრამ საქართველო თავისუფალია და ამ პირობებში

„აჯანყება“ წარმოდგენილი იყო, როგორც „ადგილობრივი გლეხებისა და მუშების“ სპონტანური მოძრაობა მენშევიკური „ჩაგვრის“ წინააღმდეგ, თუმცა ის სრულად იყო ორგანიზებული მოსკოვისა და ადგილობრივი ბოლშევიკების მიერ, რომლებსაც მინიმალური ადგილობრივი მხარდაჭერა ჰქონდათ. ერთ-ერთმა მათგანმა, სერგო ორჯონი-

კიძემ, 14 თებერვალს მიიღო ლენინის თანხმობა საქართველოში შეჭრაზე, როგორც „გლეხთა და მუშათა აჯანყების“ მხარდაჭერა. შულავერის ხელოვნურად ორგანიზებული პროვოკაცია საბჭოთა რუსეთმა გამოიყენა საქართველოს დამოუკიდებლობის გასანადგურებლად, საბაბად წითელი არმიის სრულმასშტაბიანი შეჭრისთვის.


რუსეთი კვლავ აგრძელებს აგრესიულ პოლიტიკას – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, 1992 წლისა და 2008 წლის ომები, საქართველოს მიტაცების მცდელობა ხელისუფლებაზე გავლენით, განუწყვეტელი ჰიბრიდული ომი... 2008 წლის ომმა აჩვენა, რომ რუსეთის სამხედრო უპირატესობა კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

1918-1921 – საერთაშორისო ალიანსება




საქართველომ მიიღო ალიანსები დასავლეთის ქვეყნებისგან

1921 – სამხედრო მხარდაჭერის ნაკლებობა




ალიანსები იყო მნიშვნელოვანი სამხედრო მხარდაჭერის გარეშე

1918-1921 შიდა დაპირისპირება




დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას დაუპირისპირდა ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც გაერთიანდნენ ქვეყნის მტერთან, რუსეთთან

1921



დემოკრატიული რესპუბლიკა განიცდიდა სამხედრო რესურსების ნაკლებობას

1921 – საბჭოთა ანექსია რუსეთის შიგნით



საბჭოთა რუსეთი შეიჭრა საქართველოში, საქართველო გახდა საბჭოთა კავშირის ნაწილი

ბარი და გაისმა რეპლიკები: „სად იყო რევოლუცია, ეს დაპყრობაა, ქვეყნის განადგურებაა, ჩვენი ორგანიზაციების მოსპობაა“. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ის იძულებული იყო სხდომა დაეხურა, თუმცა სტალინმა ურჩია, ჯობდა სხდომა ჩაემთავრებინათ. ასეთი ობსტრუქციის ფონზე სტალინმა გამოსვლა დაასრულა.

იოსებ სტალინის შემდეგ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სო-

ქართველმა კაცმა თავის ენაზე უნდა ილაპარაკოს და არა რუსულად. აი, ამიტომ ხალხი პროტესტს აცხადებს, არ უნდა მოგისმინოსო“.

საბოლოოდ სტალინმა მოხსენება ქართულ ენაზე წაიკითხა. ამბობენ, რომ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დასცდა სტალინს ეს სიტყვები: საქართველო წაღმა-უკულმა უნდა გადავხნათო, რევოლუციის ცხელი უთოთი გადავუაროთო“.

ჩრდილოეთის მომხრენი ვართ თუ აღმოსავლეთისა ან დასავლეთისა, ამის შესახებ დავა და კამათი უნაყოფოა და მავნებელია. საითაუ ქვეყანა ტრიალებს, ჩვენ იქით უნდა ვიბრუნოთ პირი. ხოლო იგი უძლეველის ძალით მიექანება დასავლეთისკენ. მისი გზა მოსკოვსა და პეტროგრადზე კი აღარ მიდის, არამედ შავ ზღვასა სჭრის და ფუნის ხეობაზე გადადის. გვყო მოსკოვ-პეტროგრადში გაყვრილი ევროპული კულოჭურით კვება, რომელსაუ უფრო მეტი მონღოლური მხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი... მიხეილ ჯავახიშვილი

დამოუკიდებლობის დაკარგვა 1921 წელს განპირობებული იყო რუსეთის სამხედრო და რაოდენობრივი უპირატესობით, საერთაშორისო იზოლაციითა და ქართველთა დაქსაქსულობით, განსაკუთრებით, ბოლშევიკების დივერსიული მოქმედებებით - შიდა დაპირისპირებამ გააძლიერა ოკუპაციის პროცესი.